ხელშეკრულება № 01/17

ქ. თბილისი 29 იანვარი 2017წ

I. ხელშეკრულების მხარეები

ერთის მხრივ, შ.პ.ს "ვინკო" (შემდგომში – "მიმწოდებელი"), დირექტორის ზაზა ჩიმაკაძის სახით და მეორეს მხრივ №2 ოლქის ვაკის რაიონის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიძინა გეგიძის ბიურო, (შემდგომში "შემსყიდველი"), მისი ხელმძღვანელის მიხეილ ბურძგლას სახით ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე.

II. ხელშეკრულების საგანი

1. ხელშეკრულების საგანი არის 9.757 კვ.მ ვერტიკალური ჭალუზის მიწოდება და მონტაჟი.

III. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 322.00 (სამას ოცდაორი ლარი) ლარს დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით, ასევე შეიცავს ყველა ხარჯს, დაკავშირებულს საქონლის შემსყიდველი ორგანიზაციისათვის მიწოდებასთან და საკუთრებაში გადაცემასთან.

IV. მიწოდების ვადები და შეკვეთის მიღების წესი

1. "მიმწოდებლის" მიერ საქონლის "შემსყიდველი" ორგანიზაციისათვის მიწოდების ვადა განისაზღვრება ავანსის ჩარიცხვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

V. ხელშეკრულების ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

1. „მიმწოდებელი" ვალდებულია საქონლის მიწოდებისას საქონელს თან დაურთოს საქონლის თანმხლები დოკუმენტაცია. მიმწოდებელი შემსყიდველ ორგანიზაციას საქონელს გადასცემს ერთდროულად ან ეტაპობრივად, წინასწარ შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით.
2. საქონლის გადაცემა დასტურდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი სასაქონლო ზედნადებით.
2. სასაქონლო ზედნადებზე ხელმოწერამდე ყველა ქონებრივი უფლება საქონელზე ეკუთვნის მიმწოდებელს, ხოლო ხელმოწერის მომენტიდან აღნიშნული უფლება გადადის შემსყიდველ ორგანიზაციაზე.
3. საქონლის გადაცემისა დღედ მიიჩნევა სასაქონლო ზედნადებზე და/ან მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის დღე.

VI. ანგარიშსწორების ფორმა და ვადა

1. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საქართველოს ეროვნულ ვალუტაში.
2. „შემსყიდველი" ვალდებულია საქონლის სრული ღირებულება 322.00 (სამას ოცდაორი ლარი) ლარი ჩარიცხოს საქონლის მიწოდებიდან არაუგვიანეს 5 საბანკო დღის ვადაში.

VII. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:
   ა) „შემსყიდველს" მიაწოდოს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო საქონელი, რომელიც აკმაყოფილებს არსებულ სტანდარტებს;
   ბ) „შემსყიდველს" საქონელი მიაწოდოს დათქმულ დროსა და ადგილზე;
   გ) „შემსყიდველისათვის" საქონლის გადაცემიდან სამი თვის ვადაში საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ყოველგვარი შეუსაბამობის და ნაკლის აღმოფხვრა.
2. „მიმწოდებელი" უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების დათქმულ ვადაში ანაზღაურება.
3. „შემსყიდველი ორგანიზაცია" ვალდებულია:
   ა) „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულება;
   ბ) „მიმწოდებლისაგან" მიიღოს საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;
   გ) ანგარიშსწორების ვადის გადაცილების შემთხვევაში „მიმწოდებელს" გადაუხადოს საურავი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების გადაუხდელი ჯამური ღირებულების 0.5 პროცენტის ოდენობით.
4. „შემსყიდველი" ორგანიზაცია უფლებამოსილია:
   ა) „მიმწოდებლისაგან" მოითხოვოს საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და ადგილზე მიწოდება;
   ბ) „მიმწოდებლისაგან" მოითხოვოს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონლის მიღება;
   გ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული თითოეული საქონლის ნაკლის აღმოჩენის შემთხვევაში, მიმწოდებლისაგან მოითხოვოს ყოველგვარი შეუსაბამობის და ნაკლის აღმოფხვრა.
5. თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი

VIII. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

1. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი ორგანიზაცია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს „მიმწოდებელს“ წუნდების მიზეზების მითითებით.
2. გამოვლენილი ნაკლის ან დეფექტის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება (გარანტიით გათვალისწინებული დროის განმავლობაში) ეკისრება „მიმწოდებელს“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

IX. ფორს-მაჟორული სიტუაციები

1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა.
2. ფორს-მაჟორი ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომელსაც აქვს წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი და არ არის დაკავშირებული შემსყიდველი ორგანიზაციის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან. ფორს-მაჟორი შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური უბედურებით და სხვა გარემოებები.
3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

X. სხვა პირობები

1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ თავისი მოვალეობების სრულ შესრულებამდე.
2. მხარეთა შორის ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავა წყდება მოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ „მიმწოდებლის“ მოთხოვნის შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
3. ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის.
4. ორივე მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება ცალმხრივად, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, აგრეთვე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევაში. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეები წერილობით აცნობებენ ერთმანეთს.
5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველ ორგანიზაციას, ხოლო მეორე ეგზემპლარი – მიმწოდებელს.

მხარეთა რეკვიზიტები :

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შ.პ.ს "ვინკო"	№2 ოლქის ვაკის რაიონის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიძინა გეგიძის ბიურო
ქ.თბილისი; გოთუას ქ. №22 ს/კ 404997456 სს "ბაზისბანკი" მფო: CBASGE22 ა/ა №GE75 BS00 0000 0088 236706	ქ.თბილისი; ი.აბაშიძის ქ. №17 ს/კ 205335109
დირექტორი ზაზა ჩიქოვანი	ბიუროს ხელმძღვანელი მიხეილ ბურძგლა
"29" აპრილი 2017 წ.	"29" აპრილი 2017 წ.

მიღება-ჩაბარების აქტი

30 იანვარი, 2017წ

ქ.თბილისი

ერთის მხრივ №2 ოლქის ვაკის რაიონის მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიძინა გეგიძის ბიუროს, (შემდგომში „შემსყიდველი", ს/კ 205335109) წარმოდგენილი მისი ხელმძღვანელის მიხეილ ბურძგლას სახით და მეორეს მხრივ, შ.პ.ს. "ვინკო"-ს (შემდგომში „მიმწოდებელი", ს/კ 404997456)წარმოდგენილი მისი დირექტორის ზაზა ჩიმაკაძის სახით ჩვენს შორის 2017წლის 29 იანვარს გაფორმებული ნარდობის ხელშეკრულების საფუძველზე ვადგენთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე:

1. **შემსყიდველი** ადასტურებს, რომ **მიმწოდებელმა** მას გადასცა 2017წლის 29 იანვარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები, რომელიც არის სტანდარტებით შესრულებული და შეესაბამება ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. **მიმწოდებელი** ადასტურებს, რომ **შემსყიდველს** გადასცა 2017წლის 29 იანვარს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები.

მიღება-ჩაბრების აქტის სისწორეს ვადასტურებთ ხელმოწერით.

მხარეთა რეკვიზიტები

მიმწოდებელი:

შ.პ.ს "ვინკო"

ქ.თბილისი; გოთუას ქ. №22
ს/კ 404997456
სს "ბაზისბანკი"

მფო: CBASGE22

ა/ა №GE75 BS00 0000 0088 236706

დირექტორი

ზაზა ჩიმაკაძე

შემსყიდველი:

№2 ოლქის ვაკის რაიონის მაჟორიტარი პარლამენტის

წევრის ბიძინა გეგიძის ბიურო

ქ.თბილისი;

ი.აბაშიძის ქ. №17

ს/კ 205335109

ბიუროს ხელმძღვანელი

მიხეილ ბურძგლა